 სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **138-1382535137**
თარიღი: **17/12/2025**

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
მისამართი: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. #2

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, 49-ე მუხლის (ანგარიშის წარდგენა და გამოქვეყნება) შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2025 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ანგარიშს:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

სააგენტოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სააგენტოში შემოსულია 2 განცხადება, აქედან პასუხი გაცემულია 2 განცხადებაზე.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას და მასზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, ადგილი არ ჰქონია.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის, სოფიკო ჭუმბურიძის მიერ. სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, 2023 წლის 4 აპრილიდან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად, განსაზღვრულია ამავე სააგენტოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სოფიკო ჭუმბურიძე. უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;

სააგენტოში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს), რის შედეგადაც, აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში. პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;

ზემოთ აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების

სხდომის დახურვისას;

ზემოთ აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ზურაბი წიკლაური

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო-უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი